

სასერთიფიკაციო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სასერთიფიკაციო პროგრამის აღიარებით დაინტერესებული პროფესიული ორგანიზაცია:	
ორგანიზაციის სახელწოდება	საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
ორგანიზაციის სახე	პროფესიული ორგანიზაცია
საიდენტიფიკაციო კოდი	404921670

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სასერთიფიკაციო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სერტიფიცირებული ბუღალტერი
კრედიტების რაოდენობა	28 კრედიტი - 700 საათი
პროგრამის განხორციელების ადგილი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სასწავლო კორპუსის N, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ეგნატე ნინოშვილი 55, მე-6 სართული
პროგრამის სტატუსი	წარდგენილია ზედამხედველობის სამსახურში შესათანხმებლად

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	საქართველო, 0160 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2,
ორგანიზაციის ვებ-გვერდი	gfaafm.ge ;
ორგანიზაციის ელ-ფოსტა	gfaafm@gmail.com ;
ტელეფონი	577 47 97 19; 574 34 64 27
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	გამგეობის თავმჯდომარე: ელგუჯა აფრიდონიძე
პროგრამის ავტორი/ხელმძღვანელი	ლევან საბაური, იური პაპასქუა. დავით ჯალაღონია
მობილური ტელეფონი	577 55 53 23; 574 34 64 27; 577 17 07 08

სასერტიფიკაციო პროგრამის მოკლე მიმოხილვა:

წარმოდგენილი სასერტიფიკაციო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის მიერ.

ამ პროგრამას ზუსტი ანალოგი არ არსებობს. ის ეფუძნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესს“ აგრეთვე, განგრძობითი განათლების პროგრამაზე პროფესიული ორგანიზაციების მუშაობისა და სწავლების პროცესის გამოცდილებას.

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია დაინტერესებულია მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარებით. გამოცდის განმახორციელებელ ორგანოდ მოიაზრება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ), რომელთანაც აღნიშნულზე მიღწეულია შეთანხმება.

თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

სასერტიფიკაციო პროგრამის თვითშეფასებას ახორციელებს ჯგუფი პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, განათლების, ხარისხის მონიტორინგისა და კონტროლის კომიტეტების წევრების, მოწვეული აკადემიური პერსონალის შემადგენლობით, რომელიც ჩართული იყო ამ პროგრამის შექმნასა და მონაწილეობას მიღებენ შესრულებაშიც.

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის № 16 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის (დანართი №1) მოთხოვნებთან. სასერტიფიკაციო მთლიანად სასერტიფიკაციო პროგრამა და მისი ცალკეული ელემენტი შესაბამისობაშია პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია პროფესიულ მოთხოვნებთან და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი მიღწევადია.

სასწავლო კურსის შინაარსი განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს სწავლების მეთოდებისა და საათების მოცულობის გათვალისწინებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საათების რაოდენობა განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრის მაძიებლისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებასა და გამოვლენას.

სწავლის შედეგები, რომელიც განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრისთვის მოთხოვნილი კომპეტენციები და

შესაბამისობაშია ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალურ სწავლის შედეგებთან.

სწავლების მეთოდების ერთობლიობა თანხვედრაშია სასერტიფიკაციო პროგრამით დასახული მიზნებსა და შესაბამის კომპეტენციის დონეებთან. კომპეტენციის სფეროები, რომელსაც მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, მკაფიოდ იდენტიფიცირდება და შეესაბამება პროფესიული კომპეტენციის კომპონენტებს.

შეფასების მეთოდები, სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსისათვის და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისათვის, ადეკვატურია და სამართლიანად აფასებს კანდიდატის უნარჩვევებსა და ცოდნას.

სასწავლო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს თანამედროვე და აქტუალურ მოთხოვნებს, შეიცავს პრაქტიკულ ელემენტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

კანდიდატის ცოდნის შეფასების პროცესი იქნება გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფილია ტექნიკური შესაძლებლობით.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება პროფესიული ორგანიზაციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1.პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია: სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ბუღალტრთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტით მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებისა და გამოვლენის უზრუნველყოფა.

პროგრამის შინაარსი ემსახურება შემდეგ მიზნებს:

✓სწავლის შედეგად ისეთი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც ამჟამად აუცილებელია შრომის ბაზარზე ბუღალტრისა და აუდიტორის კვალიფიკაციით მუშაობისთვის:

✓სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მასალის მოსამზადებლად აუცილებელი საფუძვლის შექმნა.

✓დაინტერესებული მხარეებისთვის დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება პროგრამისა და გამოცდის თითოეული ნაწილის შესახებ.

✓კანდიდატებისთვის დახმარების გაწევა გამოცდებისთვის მზადების დროს.

✓ ინფორმაციის მიწოდება მათთვის, ვინც სასწავლო კურსებს ატარებენ და კანდიდატებს ეხმარებიან გამოცდებისთვის მომზადებაში.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარების ათვისება და ფლობა, რომლის მიღწევაც სავალდებულოა კანდიდატისთვის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის. კერძოდ:

✓ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენება სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით.

✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით.

✓ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის შეფასება.

✓ ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად.

✓ ფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

✓ არაფინანსური მონაცემების შემცველი ანგარიშების ინტერპრეტაცია (მაგალითად, მდგრადობის ანგარიშებისა და ინტეგრირებული (შერეული) ანგარიშების).

ცოდნა: ადრე შესწავლილი მასალის დამახსოვრებისა და გახსენების უნარი, მაგალითად: კონკრეტული ფაქტების, მეთოდების, პრინციპებისა და პროცედურების (ანუ განსაზღვრის, განმარტების, ჩამოყალიბების, ჩამოთვლის უნარი).

გაგება: მასალის აზრის/მნიშვნელობის ათვისებისა და ინტერპრეტაციის უნარი (ანუ კლასიფიცირების, ახსნის, განსხვავების გამოვლენის უნარი).

გამოყენება: შესწავლილი მასალის ახალ კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი (ანუ დემონსტრირების, პროგნოზირების, გადაწყვეტილების მიღების, ცვლილების შეტანის, თანაფარდობის განსაზღვრის უნარი).

ანალიზი: მასალის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გასაგებად; მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეცნობის, სხვადასხვა სახის ქცევის განსხვავების უნარი და აზრის დასასაბუთებლად აუცილებელი მნიშვნელოვანი კომპონენტების განსაზღვრის უნარი (ანუ განსხვავების შეცნობის, შეფასების, სისტემატიზაციის უნარი).

სინთეზი: ცალკეული ნაწილების შეკრების/ერთად თავმოყრის უნარი, ერთი მთლიანი სურათის ან ოპერაციების შემოთავაზებული ნაკრების მისაღებად; იდეებს/მოსაზრებებს შორის კავშირის დადგენისა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბების უნარი (ანუ გაერთიანების, ფორმულირების, შესწორების უნარი).

შეფასება: გარკვეული მიზნისთვის მასალის მნიშვნელობის შეფასების უნარი, მისი თანამიმდევრულობისა და ლოგიკური სისწორის მიხედვით და სტანდარტებთან შედარების საფუძველზე; მოქმედების წესის არჩევასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა შეფასების უნარი (ანუ კრიტიკული ანალიზის, დასაბუთებისა და დასკვნების გამოტანის უნარი).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

პროგრამა ორიენტირებულია შედეგზე და ითვალისწინებს კანდიდატებისთვის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს

გასაუმჯობესებელი მხარეები

გამოვლინდება პრაქტიკული რეალიზაციის პრობებში. ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრების სასერტიფიკაციო პროგრამის ადაპტირება ჯერ არ მომხდარა.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა სტატუსის მაძიებელთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სასერტიფიკაციო პროგრამაზე სწავლებისა და გამოცდის პროცესში ჩართვას ექვემდებარებიან:

ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ან საქართველოში ან უცხოეთში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება;

ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაცია;

პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისათვის პირს გამოცდებზე დასაშვებად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით განსაზღვრულ ყველა საგანში სულ მცირე საშუალო დონეზე (გარდა ეკონომიკისა, რომელშიც კანდიდატის კომპეტენცია შეიძლება დადასტურდეს საბაზო დონეზე).

2.2 სასერტიფიკაციო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. მისი სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასერტიფიკაციო პროგრამა მოიცავს 5 (ხუთ) სასწავლო კურსს საგნებში:

ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფასს სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

ბ) „აუდიტი“ – აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები,

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

გ) „ბიზნესის მართვა“ – კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

დ) „ბიზნეს სამართალი“ – ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე“;

ე) „საგადასახადო სამართალი“ - საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე“;

სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტები და დეტალური შინაარსი აღწერილია სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) და ერთვის პროგრამას.

2.3. სასწავლო კურსი

სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning). **სწავლის ფორმები და მეთოდები აღწერილია და წარმოდგენილია სასერტიფიკაციო პროგრამის დანართში № 1**

2.6. სერტიფიცირებულ ბუღალტერის სტატუსის მაძიებელთა შეფასება

კანდიდატების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №5-16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის“ მოთხოვნებს.

კანდიდატის საგამოცდო პროცესს ახორციელებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) საგამოცდო ცენტრი, რომელსაც კანდიდატი გამოცდაზე დასაშვებად ეგზავნება წერილობით მიმართვით, სასერტიფიკაციო პროგრამის სწავლების ნაწილის გავლის შემდეგ. მიმართვაში აღინიშნება კანდიდატის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

კანდიდატის გამოცდის შედეგებს აფასებს საგამოცდო ცენტრი ზედამხედველობის

სამსახურის მიერ აღიარებული პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად. კანდიდატის ცოდნა ფასდება **100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 50-60 ქულა.

ბ) ერთი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 0 - 49 ქულა, რაც ნიშნავს, რომ კანდიდატის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ერთვის სასერტიფიკაციო პროგრამას (იხ. დანართი №3)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგია შეესაბამება რეიტინგული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკას და პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურია.

გასაუმჯობესებელი მხარეები

გამოვლენილი არაა.

3. კანდიდატთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებელზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს.

3.1 სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებელის საკონსულტაციო მომსახურება

კანდიდატი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ლექტორებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლების პრიცესში ყოველ სასწავლო კვირაში გამოყოფილი აქვთ საკონსულტაციო საათები და კანდიდატებს საშუალება აქვთ მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე საჭირო ინფორმაცია.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა სასერტიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სასერტიფიკაციო პროგრამის განსახორციელებლად **საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას** სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებელთათვის შექმნილი აქვთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და კომფორტული პირობები. ესაა შესაბამისი სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები. საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც კანდიდატებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამის (სილაბუსების) მიხედვით აუცილებელი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. მიმდინარეობს სახელმძღვანელოების ეტაპობრივი შევსება. სწავლების პროცესში კანდიდატებს ლექტორებისაგან სისტემატიურად ეგზავნებათ ელექტრონული სასწავლო მასალა.

პროგრამის ეფექტიანი მართვის და მაღალხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ ეტაპზე შესაძლებელია 40 კანდიდატის მიღება.

სწავლების პროცესის განსახორციელებლად, აბფმფ-ს იჯარით აქვს აღებული შესაბამისი სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე.

4.4. სასერტიფიკაციო პროგრამის დაფინანსების წყაროები და ფინანსური მდგრადობა

დაფინანსება ხორციელდება **საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის** ბიუჯეტიდან, აგრეთვე სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებელთა სწავლების გადასახადისგან.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები ადამიანური რესურსებით და სასწავლო ბაზით პროგრამა კარგადაა უზრუნველყოფილი
გასაუმჯობესებელი მხარეები საქართველოში პროფესიული ორგანიზაციების ბიუჯეტი მწირია, რის გამოც მატერიალურ-ტექნიკური პირობები, სახელმძღვანელოთა ხელმისაწვდომობა სასურველია გაუმჯობესდეს.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე რესურსებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის მონიტორინგისა და კონტროლის კომიტეტებთან პროგრამის ხარისხის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის, სწავლებასა და სწავლას, ხელმძღვანელობას და ადმინისტრირებას.

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა იძლევა საკმარის ანალიტიკურ ინფორმაციას პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებისათვის, რათა მუდმივად ხდებოდეს სასერტიფიკაციო პროგრამის ხარისხის განვითარება.

სასერტიფიკაციო პროგრამების/სასწავლო კურსის/ცალკეული დისციპლინების (საგნების) სილაბუსები ექვემდებარებიან განახლებას არაუგვიანეს 3 წლის ვადაში, საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებში (სტანდარტებში) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

პროფესიული ორგანიზაცია ხარისხის უზრუნველყოფისათვის იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, მათ შორის, თვითშეფასების ანგარიშს; პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს. ყოველწლიურად ახორციელებს ამ კრიტერიუმების შესაბამისად პროგრამის შიდა შეფასებას, შეიმუშავებს პროგრამის სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციებს; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის (საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების) და მასში ჩართული პერსონალის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა) ყოველწლიურ შეფასებასა და მონიტორინგს; ლექტორების, ინსტრუქტორებისა და ექსპერტების ანგარიშების მომზადებასა და მონიტორინგს; კანდიდატთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავებასა და გამოკითხვის ორგანიზებას სასწავლო კურსისა და საგამოცდო პროცესის ყოველ ეტაპზე; სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, მათ თაობაზე თემატური სემინარების ორგანიზებას და უცხოური პრაქტიკის შესწავლას.

6. პასუხები სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების თვითშეფასების კითხვარზე

№	შინაარსი	დიახ	არა	კომენტარი
1	სასწავლო კურსი უნდა წარიმართოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად?	☒	☐	
2	ერთი სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) მოიცავს ერთ ან რამდენიმე კომპეტენციის სფეროს?	☒	☐	
3	სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი შეესაბამება პროფესიულ მოთხოვნებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე?	☒	☐	
4	სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი არის მიღწევადი?	☒	☐	
5	სასწავლო კურსის შინაარსი განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს სწავლების მეთოდებისა და საათების მოცულობის გათვალისწინებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას?	☒	☐	
6	გონივრულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი საათების რაოდენობა?	☒	☐	
7	სწავლის შედეგები არის მკაფიოდ განსაზღვრული და შეესაბამება სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალურ სწავლის შედეგებს?	☒	☐	
8	სხვადასხვა სასწავლო კურსის და სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასერტიფიკაციო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, კომპეტენციის დონის შესაბამისად?	☒	☐	
9	კომპეტენციის სფეროები, რომელსაც მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, მკაფიოდ იდენტიფიცირდება და შეესაბამება პროფესიული კომპეტენციის კომპონენტ(ებ)ს?	☒	☐	
10	შეფასების მეთოდები, სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსისათვის და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისათვის, ადეკვატურია და სამართლიანად აფასებდეს კანდიდატს?	☒	☐	
11	სასწავლო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს თანამედროვე და აქტუალურ მოთხოვნებს, შეიცავდეს პრაქტიკულ ელემენტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას?	☒	☐	
12	კანდიდატის ცოდნის შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს კანდიდატის ინფორმირებას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ?	☒	☐	
13	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატის მიერ სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის გამომუშავება?	☒	☐	

დანართების ჩამონათვალი

სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინება განცხადება, რომელსაც (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) ერთვის:

1. აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამა;
2. სასერტიფიკაციო პროგრამის სწავლების ფორმები და მეთოდები კანდიდატების/სერტიფიცირებული ბუღალტრების სტატუსის მაძიებელთათვის, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 1;
3. სასწავლო კურსების შინაარსი თითოეული სასწავლო კურსისათვის (სილაბუსები), სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 2;
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 3;
5. პროგრამის სტრუქტურა, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 4;
6. სასწავლო შედეგების რუკა, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 5;
7. ინფორმაცია ლექტორების/ინსტრუქტორების/ექსპერტების განათლებისა და გამოცდილების შესახებ (CV) - პროგრამის დამტკიცების აქტი 6;
8. პროგრამის დამტკიცების აქტი - პროგრამის დამტკიცების აქტი 7;
9. ცალკეული დისციპლინების (საგნების) აღიარების თვითშეფასების ანგარიში;
10. ინფორმაცია საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული, სასწავლო კურსის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ;
11. ინფორმაცია სასწავლო კურსის (სილაბუსის) ავტორის/ავტორების ვინაობისა და კვალიფიკაციის შესახებ (აკადემიური ხარისხი, პრაქტიკული გამოცდილება);
12. შეთანხმება სპეციალიზებული გამოცდის განმახორციელებელ პირთან ურთიერთობის შესახებ;
13. შრომითი ხელშეკრულებები ლექტორებთან;
14. ხელშეკრულება სწავლებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსების ნუსხის, შენობისა და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ;